ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2216059

ნომერი: AR1344084

თარიღი : 25.09.2015

გაცემის თარიღი : 29.09.2015

გაცნობის თარიღი : 30.09.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარაბდა , N 33 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ABRAHAM OLSHEVITZKY პ/ნ 0-1066615-4
- ჩიტაძის ქ., № 3ა/ნიაღვრის ქ., № 4

ორგანიზაცია:

- შპს დაიმონდ პროჯექტს კოდი: 404405657

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22/10/2013 წლის #956344 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა აბრაჰამ ოლშევიტსკისა და პაატა ღამაძის 25/09/2015 წლის AR1344084 განცხადება, რომლითაც მოითხოვეს ამავე სამსახურის 22/10/2013 წლის #956344 ბრძანებაში ცვლილების შეტანა დამკვეთთან დაკავშირებით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 22/10/2013 წლის #956344 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი (ვაკე), მარაბდის ქ. #33–ში, სააქციო საზოგადოება ,,თიბისი ბანკი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2013 წლის 29 ოქტომბრიდან 2015 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით.
დღეისათვის, საპროექტო ობიექტის მესაკუთრის შეცვლის გამო, განმცხადებლები 15/09/2015 წლის AR1341951 განცხადებით ითხოვენ სამსახურის 22/10/2013 წლის #956344 ბრძანებაში, დამკვეთთან დაკავშირებით შევიდეს ცვლილება და სს „თი ბი სი ბანკის“ ნაცვლად, დაფიქსირდეს შპს „დაიმონდ პროჯექტს“.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე–20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
საჯარო რეესტრის მონაცემების (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: 882014015500; 15/01/2014 18:33:16) გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ #01.14.11.063.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ო.ბ.ე.ი. პროჯექტს“. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B14008806, 30/01/2014 15:34:26) კი დგინდება, რომ შპს „ო.ბ.ე.ი. პროჯექტს“–მა შეიცვალა საფირმო სახელი და დღეისათვის რეგისტრირებულია როგორც შპს „დაიმონდ პროჯექტს“. შესაბამისად, მას აქვს საპროექტო ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B14008806, 30/01/2014 15:34:26) ასევე დგინდება, რომ შპს „დაიმონდ პროჯექტს“–ის დირექტორი არის თანაგანმცხადებელი, აბრაჰამ ოლშევიტსკი. ამდენად, მეწარმეთა შესახებ კანონის მე–9 მუხლის თანახმად, მას აქვთ აღნიშნული იურიდიული პირის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედების უფლებამოსილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. მოცემულ შემთხვევაში გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 63–ე მუხლებისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს აბრაჰამ ოლშევიტსკისა და პაატა ღამაძის 25/09/2015 წლის AR1344084 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22/10/2013 წლის #956344 ბრძანებაში და დამკვეთად სს „თიბისი ბანკის“ ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „დაიმონდ პროჯექტს“ (ს/კ404405657), დირექტორი აბრაჰამ ოლშევიტსკი;
3. წინამდენარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22/10/2013 წლის #956344 ბრძანებასთან ერთად;
4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, #6), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge